

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს აკრედიტებული დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტით (სერტიფიკატით), ან შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით. ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული სასპეციალიზაციო, ინგლისურ ენაზე შედგენილი ტესტების საფუძველზე). ტესტების ნიმუშები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად მოამზადოს კვალიფიციური კადრები აგრონომიაში, რომლებიც დააკმაყოფილებენ ქვეყნის ინდუსტრიულ და სოციალურ მოთხოვნებს. სტუდენტს შეასწავლოს დარგის ის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც აუცილებელია აღნიშნულ სფეროში მოღვაწე სპეციალისტისათვის, კერძოდ: აგრონომიის თანამედროვე საკითხების დამუშავება; მცენარეთა მოვლა-მოყვანის თანამედროვე მეთოდების გამოყენება; საწარმოო და საბაზრო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მცენარეთა ჯიშების სხვადასხვა გზით გაუმჯობესება, გააცნოს თანამედროვე გლობალურ აგრონომიაში გამოყენებული მცენარეთა სახეობები და გენეტიკური რესურსები, რის საშუალებითაც კუსდამთვრებული შეძლებს მოღვაწეობას ლოკალურ და საერთაშორისო დონეზე ხელს შეუწყობს აგრარული დარგის განვითარებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ცოდნა და გაცნობიერება:

- ❖ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ღრმა და სისტემური ცოდნა.
- ❖ მცენარეთა ანატომიის, მიწის ნაკვეთების მდგომარეობის შეფასების და ჯიშების გაუმჯობესების, ტრადიციულ სელექციასა და მარკერ-ასოცირებულ სელექციის მეთოდების ცოდნა; მცენარეთს კვების საჭიროების გაცნობიერება; დაავადებათა და მავნებელთა მართვის ცოდნა. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოების რეგულაციების ცოდნა და გაცნობიერება;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ისტორიის, გეოგრაფიის ცოდნა და მათ კულტივირების თავისებურებების გაცნობიერება;
- ❖ აგროტექნოლოგიური პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის თანამედროვე საშუალებების ცოდნასა და გაცნობიერებას;
- ❖ სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის სასოფლო-სამეურნეო მეთოდების ცოდნა.
- ❖ სურსათის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორების ცოდნა და პრობლემატიკის გაცნობიერება;
- ❖ მცენარეთა გენეტიკურ-სელექციური მეთოდებით გაუმჯობესების პროცესებისა და მეთოდების ღრმა ცოდნა და გაცნობიერება;
- ❖ სპორტული მოედნებისათვის ბალახის საფარის შერჩევისა და გაზონების მოწყობის ცოდნასა და გაცნობიერებას;
- ❖ ორგანული სოფლის მეურნეობის სისტემების ცოდნა;
- ❖ სოფლის მეურნეობისათვის ნიადაგის შემადგენლობისა და ეკოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობიერება;

- ❖ ხილის მოყვანისა და დეკორატიული მებაღეობის განვითარებისა და მართვის თანამედროვე მიდგომებისა ცოდნა
- ❖ ღვინის ბიზნესის მართვის და განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ❖ კულტურათა და ჯიშთა მრავალფეროვნების, ნიადაგის შემადგენლობისა და გარემო პირობების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაშენების, მოვლის და მოყვანის პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.
- ❖ მცენარეთა სელექციისათვის რეზისტენტობის მატარებელი გენებისა და ნიშნების იდენტიფიცირების და მარკერების შერჩევის უნარი.
- ❖ მარკერ - ასოცირებული სელექციისათვის სასურველი ჯიშების შერჩევის უნარი.
- ❖ პოზიტიური აგრონომიული მახასიათებლების მქონე: მარცვლეულის, ხეხილის და გაზონების აგებისათვის გამოყენებული ჯიშების გაუმჯობესებაზე მიზანმიმართული კვლევების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
- ❖ საკვები ნივთიერებების ნაკლებობით და მავნებლების დაზიანებებით გამოწვეული სიმპტომების ამოცნობის და ამ პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის უნარი.
- ❖ გენეტიკური მარკერების გამოყენებით, მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებისათვის თანამედროვე მეთოდების, მასალებისა და ხელსაწყოების გამოყენების უნარი.
- ❖ სოფლის მეურნეობის წარმოებების სფეროებისა და მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლის, ლაბორატორიული კვლევების განხორციელების უნარი.

დასკვნის უნარი:

- ❖ სპეციფიური ფაქტორების გათვალისწინებით, ჯიშების გაუმჯობესებისათვის, ცალკეული სასელექციო-საწყისი ჯიშების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის გამოტანის უნარი.
- ❖ ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, აგრომიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების ანალიზის უნარი.
- ❖ ტექნოლოგიური ოპერაციების განხორციელებისას, შექმნილი მდგომარეობის შეფასების და ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი.
- ❖ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, მცენარეთა კულტივირების ისტორიულ საწყისების ანალიზისა და განაშენიანების განვითარებისაზე მოქმედ ფაქტორებზე დასკვნის გამოტანის უნარი.
- ❖ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა კულტივირებისათვის, ნიადაგისა და კლიმატური პირობების შეფასების, ცალკეული ჯიშის და მისი კულტივირების მეთოდის, სასუქების და ჰერბიციდების გამოყენების მიზანშეწონილობაზე კვალიფიციური დასკვნების გამოტანის უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

- ❖ აგრონომიის საკითხებზე საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- ❖ ადგილობრივი და უცხოელი კოლეგებისა და მეცნიერებისათვის, საკუთარი ნამუშევარის და წარმოებული აგროპროდუქტების დემონსტრირების უნარი.
- ❖ ნებისმიერი ტიპის და მასშტაბის ინფორმაციის ლაკონურად და გასაგებად გადმოცემა. პროფესიული დოკუმენტაციის შედგენა და წარდგენა.

- ❖ არსებული მდგომარეობის, რისკების შეფასებისა და პერსპექტივების განსაზღვრის საფუძველზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირებისათვის და კოლეგებისათვის ზეპირი და წერილობითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ❖ აგრონომიული მიმართულების ჟურნალებისა და მათში გადმოცემული ტექსტების ანალიზის, შეფასების და ინტერპრეტირების უნარი.

სწავლის უნარი: სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება. მცენარეთა და გარემოს შერჩევის, მოვლა-მოყვანის საკითხებზე ექსპერიმენტული კვლევისას უახლესი ლიტერატურულ წყაროებზე მუშაობა. პროფესიული ზრდის სტრატეგიის დაგეგმვა და აგრონომიის დარგში მომავალი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.

ღირებულებები: ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. აგრონომისათვის მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა; პროფესიული ღირებულებებიდან გამომდინარე, ლოკალურ და საერთაშორისო დონეზე აგრონომიის დარგის განვითარების პერსპექტივის არგუმენტაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში; კოლეგებთან თანამშრომლობით პროფესიასთან დაკავშირებული ფასეულობების და ახალი ღირებულებების დამკვიდრება.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://gtu.ge/quality/new/Evaluating%20students.pdf>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	მცენარეთა ბიოტექნოლოგია	5
2	მცენარეთა პათოლოგიის გავრცობილი კურსი	5
3	ორგანული სოფლის მეურნეობა	5
4	მავნებლების ინტეგრირებული მართვა	5
5	პროფესიული ინგლისური სოფლის მეურნეობაში I	5
	არჩევითი სასწავლო კურსები:	
6 ¹	მეწარმეობა და მსოფლიო ღვინის ბიზნესი	

6 ²	ღვინის სისტემური წარმოება და ღვინის მარკეტინგი მსოფლიოში	5
6 ³	სურსათის უვნებლობის მართვა	
7	მცენარეთა სელექციის გავრცობილი კურსი	5
8	ნიადაგის ეკოლოგია	5
9	გაზონის ბალახის განვითარება და მართვა	5
10	პროფესიული ინგლისური სოფლის მეურნეობაში II	5
11	თანამედროვე მეზღობა-მეხილეობა და მევენახეობა	5
12	მდგრადი სოფლის მეურნეობა	5
13	სავლე პრაქტიკა მევენახეობასა და მეხილეობაში	5
14	დეკორატიული მეზღობა	5
15	ნიადაგის განაყოფიერება და მცენარის კვება	5
	კვლევითი კომპონენტი	